საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
საქართველოს

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 1716/01
23/02/2022

1716-01-2-202202231034

შპს „მარტ-სტოუნს“
მის: ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. რონდელის ქუჩა, №17
ელ.ფოსტა: kekutiaggg@gmail.com

სამინისტრომ განიხილა თქვენ მიერ 2021 წლის 25 ნოემბერს (N21108), გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი განცხადება, რომელიც ეხება მარტვილის მუნიციპალიტეტში სასარგებლო წიაღისეულის (კირქვის) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის თანახმად საწარმოო მიზნებისთვის წყლის აღება გათვალისწინებულია საწარმოდან დაახლოებით 2700 მ მანძილზე მდებარე მდ. წაჩხურის ღელედან (GPS კოორდინატები: X-282183; Y-4715780), სადაც შპს „მარტ-სტოუნის“ მიერ სათავე ნაგებობა (დამბა) მოეწყობა ქვაყრილით, ხოლო ეკოლოგიური ხარჯის გატარებისთვის გათვალისწინებული იქნება ღიობი. წარმოდგენილი უნდა იყოს აღნიშული დამბის პარამეტრები და მოწყობის სამუშაოების შესახებ დეტალური ინფორმაცია, მათ შორის სქემატური ნახაზი. გზშ-ის ანგარიშის თანახმად წყალაღება ასევე გათვალისწინებულია დამბის ქვედა დინებიდან, სხვადასხვა ლოკაციაზე ჩადებული 65 მმ-იანი 4 მილის საშუალებით, გზშ-ის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი აღნიშნული ოთხი მილით წყლის აღების მდებარეობის შესახებ ინფორმაცია (GPS კოორდინატები), რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- ვინაიდან წყალაღება გათვალისწინებულია მდ. წაჩხურის ღელედან, რომლის ქვედა ბიეფშიც მდებარეობს თხოპრას ჩანჩქერი, განხილული უნა იყო აღნიშნულ ჩანჩქერზე ზემოქმედების საკითხი, მათ შორის წაჩხურის ღელეს ჰიდროლოგიური მონაცემებიდან გამომდინარე გათვალისწინებული უნდა იყოს საწარმოს წყალმომარაგების ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც უზრუნველოფს საწარმოს ბრუნვითი წყალმომარაგების ღონისძიებების განსაზღვრას, რაც ასევე მნიშვნელოვანი იქნება მდ. წაჩხურის ღელეს წყალმცირობის პერიოდში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს წყალმომარაგების პირობებში საწარმოო

დანიშნულების წყლისა და მდ. წაჩხურის ღელედან ასაღები წყლის რაოდენობის შესახებ ინფორმაცია.

გთხოვთ, უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ერთი თვის ვადაში წარმოდგენა. აღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე